



შ ი ნ ა ა რ ს ი

გვერდი.

1. პარიზის კომუნა—სურათი	1
2. ბავშები პარიზის კომუნის შესახებ	2
3. გაზაფხული—ლექსი დ. ელიოზიშვილისა	6
4. მერცხლები—დ. კარბელაშვილისა	7
5. ვაშა გაზაფხულს—ლექსი კ. ბურ-ძისა	13
6. ია,—ჰაესა გადმოკეპებული ი. ევდოშვილის მოთხრობიდან ნ. ბოცვაძის მიერ	14
7. პატარა გმირი—გადმოკეპებული სან-სანანოისძის მიერ	19
8. მეგობრები—თარგ. ნინოსი	24
9. დათვი და კურდღელი—ლექსი ს. ურუშაძისა	25
10. შოკოლადის კაცი—თარგ. ლეოსი	28
11. მერცხალი—სიმღერა. ლექსი შიო მღვიმელისა, მუსიკა თ. შავერზაშვილისა—ყდაზე.	



შენიშვნა: „ნაკადულის“ № 2 მოთავსებული მოთხრობის „ვაწილა; შემანტანე“-ს ავტორი არის მადატ პეტროსიანი.



საქართველოს
საგანმანათლებლო
კომისიისთვის



წელიწადი გე-XXI № 3 გარსი 1925 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის
და ახალგაზრდათა კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ყურნალი ბავშვებისათვის.

249



პარტიის კომუნა.





ბავშვები პარტიის კომუნის შესახებ

1. პარტიის კომუნა.

1871 წ. 18 მარტს პარტიის პროლეტარიატმა დაჭკარვა მოთმინება, ველარ აიტანა შიმშილი, შევიწროვება და გადასწევიტა დაემხო კაპიტალისტების სელისუფლება და თვითონ აეღო ხელში ძალა-უფლება.

სწორედ ამ დროს ომი იყო გაჩაღებული საფრანგეთსა და გერმანიას შორის.

გერმანელები პარტიის მიუახლოვდნენ. ბურჟუაზია გაიქცა ვერსალში, პარტიიდან 30 ვერსის მანძილზე, და იქ დაბინავდა.

აჯანუგების ჩაქრობის მონატრე საფრანგეთის კაპიტალისტები ესვეწებოდნენ გერმანელებს, საფი ჩამოაგდეთ და როგორი ზირობითაც გსურთ, დაუთანხმდებითო, ოღონდ ტყვედ ჩაუარდნილი ჯარისკაცები დაგვიბრუნეთ მუშების აჯანუგების ჩახაქრობადო.

კომუნარებმა კი ამასობაში შეადგინეს ეროვნული გვარდია და რ მოდენიძე ზარბაზანიც ჩამოასხეს.

თავით ფესამდის საუკეთესოდ შეიარაღებული ბურჟუაზია თავს დაესხა პარტიის პროლეტარიატს, რომელიც ძველი, ადამის დროის დაქანკებული თოფებით იყო შეიარაღებული.

მაძვინდ იბრძოდნენ კომუნარები და ეოფულ ადღ მიწას სისხლით მარწეულს სტოვებდნენ. ბავშვები და ქალები მხარში უდგნენ კომუნარებს, მაგრამ აჯანუგება სისხლის ზღვაში ჩაასრჩევს.

2. 1871 წლის ჰიონერი

— დედი, მივდივარ.

— ხომ იცი, ჟან, რა სასიყუათო დროა ახლა. მიუტან
თუ არა მამას საუზმეს, გამობრუნდი. გეკმის?..

— ჰო, კარგი.

ჟანი მიადგა კასტილიეს ქუჩას.

ქუჩა ცარიელი იყო, არავინ ჩანდა.

ვევლა სადღაც გადამაღულიყო. შეშინებულმა ჟანმა სირ-
ბილს უმატა.

ვეტურტილის ქუჩა, ბარიკადი.

მუშები გამზადებული არიან.

ქარი წითელ დროშას აფრიალებს.

ზოგიერთნი და მათთან ჟანის მამაც საუზმობდნენ.

— მამილო, ვერსაღელებს შესვლით? სად? როდის?—
ვეითხებოდა მამას ჟანი, მაგრამ მამამისი ჭამაში გართულიყო
და ზასუსის ნაცვლად რაღაცას ბუტბუტებდა.

— არიქა, ამხანაგებო! ვერსაღელებს იერიში მოაქვთ!

გაისმა გუძეგი მუშის სმა.

ტრანს-ტან-ტან... ტა-ტა-ტა... მუმ... ბუტ-ბუტ-ბუტ—
გაისმა თოფის სმა.

სახლების კედლებს გაჟი ჩამოცვივდა, ამომტვრეულ მუ-
შებს ზრიალი გაჭქონდა.

დახ, დახ... უზასუსებდნენ ბარიკადებიდან.

გააფთრებული, მოტყეუებული ჯარისკაცები თავის მო-
ვალეობას ჰირნათლად ასრულებდნენ.

ბარიკადელებმა დაიხიეს.

— ამხანაგებო!.. იერიშზე!.. დაიწკრივდა ბავშვის სმამ,
და ზატარა ჟანი ბარიკადებისაკენ გაქანდა.

მას კომუნარებიც მიჭევენ.

კაშმაგებით იბრძოდენ კომუნარები, მედგრად იბრძოდენ, ბარკადი უკან დაიბრუნეს.

ქანი მშვიდი სახით ეგდო სისხლის გუბეში...

ამოდ ელოდა დედა თავის ბიჭუნას.

(ფურც. „ბარბანი“-დან).

3. ბასტილიის აღება.

ოთხი საათია... ხალხი უვირილით გარს შემოერთვა ბასტილიას... უვიროდა, დაეთმოთ იგი მისთვის. ბასტილიაში ჩასაფრებული შევიცარელები არაფითარ ზასუსს არ ამღვედენ. უეცრად გაბრზებული ხალხიდან გამოვარდა ერთი კაცი, გადასჭრა ცულით ჯაჭვი, და სიდი ჩამოვარდა. გაბრზებული ხალხი მისცვივდა სიღს. იმ წამში ციხიდან ზარბაზანი გავარდა. გაისმა კენესა, წვევლა და თოფის ხმა.

კენესა, წვევლა, ზარბაზნის ჭექა, თოფის ხმა და საძინელი ღრიალი—უველა ეს აირია ერთმანეთში. სიღსე მეოფი ხალხი წვალში გადასცვივდა. ვერავის ვერ გაეებდა სიღსე გასვლა... აქეთა მხრიდან თოფს ისროდენ. მაგრამ, აი, ვიღაცამ დაიუვირა, ციხის კარებს ცეცხლი წაუკიდეთ და ბასტილია ჩვენიაო.

ხალხიდან გამოვარდა 15 წლის ბიჭი და ასანთით ხელში გაექანა სიღსე ციხის კარებისკენ, მაგრამ გავარდა თოფი და ის უსიცოცხლოდ დაეცა სიღსე. მას მიჭვევენ სხვები, მაგრამ ვერც იმათ მიაწიეს კარებამდე და მოკლულნი ჩაცვივდენ წვალში.

* * *

უკვე დამება. თოფის სროლა ბასტილიის კარშემო არ შეწყვეტილა.

ბასტილიაში მეოფი ჯარი დაიღალა, მაგრამ არ სთმობს

ბასტილიას. სალსი აუარებელი გაწედა, მაგრამ ცა-
 ხლები მაინც არ მიდიან და გაბრახებულნი უვევირან შვეი-
 ცარიელებს: „სალსის გამეიდგელებო“, „სალსის გამეიდგე-
 ლებო!“ უცებ სალსში მსიარულება გაიშმა. სმაძაღლა ისმო-
 და „ვაშა! გვარდიელები მოდიან“. მართლაც, გვარდიელები
 მოვიდენ და სარბახნები დაუშინეს ბასტილიას. უცბათ ვი-
 დაცამ დაიუვირა: უუურეთ, ბასტილიასე თეთრი ბაირაღია,
 ბასტილია ხვენიაო. მართლაც, ბასტილიის სარბახნები
 გახუშდა. სალსი შვეარდა ბასტილიაში.

ოთარ ანთაძე—კრემერი.






გაზაფსული


ქვეყნად ნისლი აღარა ჩანს,
არც დრუბელი მღვლა ცაზე,
ცხრათვალა მსე გადმომდგარა
თვალუწვდენელ ამაჲ მთასე.

სხივებს აფრქვევს, ოქროს სხივებს,
გაახარა არემარე;
ლექსებს მღერის სამთრის შემდეგ,
გულგამიბარი ტან ჯულთ მხარე.

გაზაფსულო!... დიდება შენ,—
თავისუფლად სუნთქავს ეველა,
შენი მოსვლით ეოველ სულდგმულს
მიენიჭა შვება-ლხენა!...

დ. ელიოზიშვილი.





მერცხლები

კატარა დიტოს მერცხლები ეველა ფრინველებსე უფრო უკუარდა. ეოველ დილა-საღაჟოს კატაცებით უბღებდა ეურს მათს ელურტულს და ფიქრებში წასული ოცნების სღვაში დასცურავდა.

სახლის დერეფანში მერცხლებმა ორი ბუდე კააკეთეს, ერთიც ოთახში.

ფანჯარას დიტომ ერთი ძინა ამოაცვალა, რომ მერცხლებს თავისუფლად ენაჟარდათ.

შარშან დიტომ ბარტყების დაფრენის წინ ეველა ბუდეში წითელი აბრეშუმის ძაფი შეაბა ფესზე თითო ბარტყს.

ელის წლეულს, მოველენ თუ არა დანიშნული მერცხლები. დიდი ხანია ელის.

აზრილის მსე ჯერ არ იყო ამოსული, რომ დედამ დიტო კაადვიძა.

— ადე, შეილო, რა კახარო!

ფეთიანივით წამოსტა დიტო.

— რაა, დედა, რაა?

— რა და, მერცხლები მოფრინდენ შეილო, შენი მერცხლები.

ტანისამოსიც კი არ ჩაიცვია დიტომ, დერეფანში კამო-



ვარდა. მართლაც, ბუდეებსე შემომსხდარიუენენ მერცხლები, დიდის სმით ჭვიოდენ, უსოძო სიხარულით იუენენ.

დიტოს კისერი დაეღალა ძაღლა ცქერით, მაგრამ ძინც შეაძნია წითელი ძაფი.

— დილილმე, დილილმე! დედიჯან, დედიჯან, მართლა ისინი არიან.

სკამზე ჩამოჯდა დიტო, ფიქრებს მიეცა, თან სიხარულით მერცხლებს მისჩერებოდა. ზატარა ხანს უკან შურდულივით გაქენა დიტო ამხანაგებისაკენ, ვეელას ასარა ასალი ამბავი: ავი გუებნებოდით, ჩემი მერცხლები უკან მობრუნდებიან მუთქი.

მოკროვდენ ბიჭები დიტოსთან. ძათს გაკვირუებას სასდვარი არა ჰქანდა, რომ მერცხლას ფესზე წითელი ძაფი ება.

ზატარა ხანს უკან, როდესაც მერცხლებმა ბუდეზე მოიუარეს თავი ჩუულებრივ, დიტო ისევ დერეფანში ჩამოჯდა და საუბარი გაბაბა მერცხლებთან.

— თქვენ გენაცვალეთ, თქვენა, კუდმაკრატლებო, რომ არ დამივიწყოთ.

ვინ იცის, რამდენი ქვეუანა ნახეთ?

ძინც, სად იუავით?

— სად ვიუავით? სადა და აფრიკაში, დიდს ქვეუანაში. ძალიან შორსაა აქედან, ძალიან. კსაში ვისვენებდით, ძალიან სძირად ვისვენებდით. რამდენიმე დღეს მოვუნდით გადაფრენას.

შენ როგორ დავაკვამცებულხარ, დიტო!

— ჰო, გავიზარდე. შარშან, სომ გასსოვით, კრძელს შარვალსაც არ მაცმეუდენ.

— არც ასლა გაცვია, დიტო, კრძელი შარვალი, — ჩამოსჭვივლა დედა-მერცხალმა.

ჰა, ჰა, ჰა, ჰა — ვადიკისკისა დიტომ — ეს, ჩემო საუვარე-

ლო, სხვანაირი შარვალა. ახლა მე ჰიონერი ვარ და ასეთი შარვალი უნდა მეცვაოს. იცით, ჰიონერი რა არის? არ იცით? მამ გეტყვით.

ჰიონერი ეველა იმ ბავშვს ჰქვია, ვინც კარვად სწავლობს, დაბუნავებუღს, სუსტს, უღიანო ამხანაგს არ დანაგრავს; ვინც წაეშელებს ეველა დანაგრულს, მოუგლის ხალხის ქონებას, არ გააფუჭებს; ვინც შრომობს მუდიოვად, უსაქმოდ არ დგას, არ სარმაცობს და სხვასაც წააქეებს სამუშაოდ; ვინც ცხოველს, ფრინველს დაინდობს, არას აწყებს.

რაც თქვენ წახვედით, ბევრი რამ ახალი მოხდა.

ხომ გახსოვთ, კლეებს როგორ ჰქვლევდნენ მდიდრები!

ახლა ეს აღარ არის, აღარ, აღარც იქნება თავის დღეში, იმიტომ რომ ამის ნება აღარა აქვთ!...

— ჟღურტ, ჟღურტ, — სიამოვნების ნიშნად ჩამოსძახეს მერცხლებმა დიტოს, — რა კარგია, რა კარგია! დიტო, ახლა ჩვენ ბუხების ჭერას და ბუდეების შეკეთებას და გასუფთავებას შეუუდგებით და დანარჩენიც საღამოზე გვიამბე.

— კარგი, კარგი — შესძახა დიტომ, საჩქაროდ ისაუხმა, წიგნები იღლიაში ამოიღო და სიმღერით სკოლისკენ გაეშურა, რომ ახლა იქ უამბოს დანარჩენს ამხანაგებს ძველი მეგობრების დაბრუნება.

საღამო სანსე დიტო ისევ დიღანდელს ადგილს იჯდა, მერცხლებს ელოდა. მერცხლებმაც არ დაუოცნეს, თავი მოიფარეს.

— ჟღურტ, ჟღურტ, დიტო, ეველაფერი მოგვეწონა თქვენს სოფელში, ეველაფერი; სულ სხვა ელეფერი მისცემია სოფელს შარმანდელთან შედარებით, მაგრამ ერთს ვერ მივხვდით. აი, ის რა არის, აი, იმ მადლობზე რომ ფრიალებს?

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, — კიდევ გადიკისკინა დიტომ, — ეგ, გენაცვალეთ, წითელი დროშა!

— მერე რა არის დროშა, ან რა საჭიროა?



— უნდა გამოვტყუდეთ, რომ არც მე ვიცი ^{მეც ვიცი} საქმე, ცოტა დარცხვენით წარმოსთქვა დიტომ, მაგრამ, როგორც მაძახები იტყვის ხალხე, ეკ რევოლუციის ნიშანია, ნიშანია იმისი, რომ მშრომელმა ხალხმა თავისი ასლანდელი თავისუფლება სისხლით იშოვა.

— ჰო, ჰო, ვიცით, ვიცით. ბევრი ვნახეთ მაგისტანა, მავ სდებს რომ გამოვცდით, — ჩამოსჭიკჭიკა ერთმა მაფიანმა მერცხალმა. იქ კი, აფრიკაში, დიტო, იცი, რა ამბავია? იმ საშინელს სიცხე-ნაზანაქებაში შეუბრალებლად ამუშავებენ ხალხს. თუ დაიღალა და მუშაობა შეაჩერა, მათრახებით სცემენ უწვალოდ.

ერთი კლესის სახლში მქონდა ბუდე. შენსავით ზატარა შვილი ჰქვავდა, სულუს ეძახდნენ სახელად. შენგან იმით გაირჩევა, რომ მავი ფერისაა მთლად, თმასუჭუჭაა, მსწვილტუქებაა და სულ ტიტყულა დარბის ცხელი მზის ქვეშ. ისიც შენსავით გვესაუბრებოდა, გაცნობს შენ ჩვენი ნაამბობით და ძალიან ნატრობს აქ გადმოსულას.

ძალიათ ამუშავებენ საწყაღს მაძახსთან ერთად. როცა ქანც-გამოღეული ჩრდილს შეაფარებდა თავს, ჩვენც იქ გავხნდებოდით და ჭიკჭიკით ვატებოდით. ბევრჯერ აცრემლებულა.

— საწყალი, საწყალი, — წამოიძახა დიტომ. — როცა წახვალთ, ჩემი მოკითხვა გადაეცით სულუს. უთხარით, ნუ ეშინია, იქნებ მალე დადგეს დრო, რომ მასაც ადარ აწვალვებდენ, ისიც თავისუფალი იყოს.

— ეს რა ამბავია, დიტო, რა ბრახუნია? — იკითხეს ერთხმად მერცხლებმა.

— ნუ გეშინიათ, ეკ ჩვენი ზიონერების რაზმია, დაფს უკრავენ, ჩვენ გვეძახიან. სწრაფად უნდა შემოვუბინოთ სოფელს, სახოვაკე დავურიგოთ ღარიბ-ღატაკებს, ავადმოფებს, ხვალ კი ტყეში მივდივართ სავარჯიმოდ; ორ დღეს დავრ-



ხებით; მოდი, თქვენც წამოდით, რა გაეხარდებათ ამხანაგებს!

— ეჰ, დიტო, — უთხრა პერცხალმა, — ნეტავი შენ, რომ მოცლილი ხარ. ხეენ? აბა, უუურე, რამდენი საქმე გვაქვს! ბუდე უნდა დავხვეტოთ, ახალი ბუძბუდი ჩავაგოთ, კარგად დავათვალიეროთ, სომ არსად ვამსკდარა, ან დასიანებულა. ახლა ბუხების ჭერა, მერე შვილები და...

— ჰო, კარგი, კარგი, — მიუგო დიტომ, — ხელს არ შეკიძლით. ძაგრამ დილაზე კი ბუდეების ქვეშ ფიცრებს გაგიკეთებთ, აღარ ჩამოინგრევა.

— ქლურტ, ქლურტ, კმადლობთ, დიტო, კმადლობთ,

— მშვიდობით, თქვენ გენაცვალეთ, კუდმაკრატლებო. ამხანაგ ზიონერებთან გავიქცევი. ორ დღეს ვერ გნახავთ, სვალ ძალიან ადრე წაუვალ. თქვენ გემინებათ ისევ.

— ქლურტ, ქლურტ, მშვიდობით, მშვიდობით.

ამნაირად საუბრობდენ დიტო და პერცხლები უოველ დილა-საღამოს. დაწვრილებით გააცნო დიტომ პერცხლებს ახალი ხანა, მეტადრე ზიონერთა ყოფა-ცხოვრება.

პერცხლებიც სიამოვნებით უამბობდენ დიტოს აფრიკის ამბებს, იქაური ხალხის ტანჯვა-გმინვას მდიდართა სელში. ჭიირდებოდენ, ბევითად ვადავყვამთ უოველივეს არა მხოლოდ ჰატარა სულუს, დანარჩენ შაკანანებსაცაო.



საფსულის მიწურულში პერცხლები წასასვლელად მხად იყვნენ.

ექვს ახალს პერცხალს ება წითელი აბრეშუმის ძაფი ფეს-სე: დიტომ შეაბა.

უკანასკნელად ჩამწერივდენ პერცხლები დერეფანში გაბ-შულ თოკზე და ქლურტული შექქმნეს.

დიტო მათთან იყო. სოკი უფრო თამბი მხარსედაც კი დასჯდომოდა.




ემშიდობებოდა დიტო მერცხლებს: მერძის რომ ჩამო-
სვალთ, უფრო უკეთეს ამბებს ნახავთ, ზიონერები უფრო გა-
ფისრდებით, გაუმრავლდებით, და თქვენი ძუძუდრო ცხოვრება
უსრუნველყოფილი იქნებაო, — ეუბნებოდა და თან მოკითხვას
აბარებდა უცნობ სულუსთან; წერილის მიწერაც კი დააბირა,
მაგრამ მერცხლებმა დაუძაღეს: აედარში დაკვისველდება და,
სულერთია, ვერ მივაღწევინებთო.

ეფიცებოდნენ, დაწვრილებით ამბავს მოკიტანთ მისვას და
თქვენი ზიონერების ამბავს ეოჯელ დღე ვუქდურტულებთო.

გაფრინდნენ. წაზიდნენ. დიტოს გული დაწედა.

მას შემდეგ სულ სულს შესასებ ფიქრობს, როგორ მი-
იღებს ზიონერების ამბავს, მოუტანენ თუ არა მერძის მერც-
ხლები ამბავს: სულუ ზიონერიაო.

დავ. კარბელაშვილი.



ვაძა გასაფხულს!



აძა, ვაძა, გასაფხულო,
ტურფა, სავეარელო!
ია-ვარდით მოქარგულო,
მუდამ სანატრელო!

—
მოხტის წუართ, მთის ნახარდი,
ილიძება ია;
და ღიღინებს: გასაფხული,
ვიშ, რა ლამაზია!

—
მოქარგულა მინდორ-ველი,
შესეთ, რა ნაზია!
მზის სსივებში გახვეული,
ტურფა, ლამაზია!

—
მღერის კორდი, მღერის ველი,
მღერის ბაღში ვაზი:
ლამაზია გასაფხული,
ფრთაგაშლილი, ნაზი!

კატო ბურ—ძე.





ი ა

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

- | | |
|--------------|---------------------|
| 1. ია. | 4. წყარო |
| 2. ნიაგი. | 5. გაზაფხულის დილა. |
| 3. კურდღელი. | |

(სცენა წარმოადგენს ტუის შირს; განთავსებულია მოჩუხჩუებს ნაკადული. ახალი გაზაფხულია. განმარტებით სდგას უღმარტებაშედილი ბუნქი, რომლის ძირასაც იას ოდნავ ამოუყვია თავი).

ია. ერთი ამხედვით ზევით, გეთაყვა, ამხედვით! რალაც ხმაურობაა, ჩოჩქოლი, მიდი-მოდიან, მღერიან...

ნიაგი. შრრრ...

ია. რაო? შრიო... ეს ვილაა ნეტა? შრიი რალასა ჰქვიან? სადაური ენაა?

ნიაგი. ენა კი არა, ნიაგი ვარ, გესმის? ნიაგი მეთქი, შე აბდალო! რაო, ჯერ არ გაგიგონია ჩემი სიმღერა? მაგრამ შენ თვითონ საიდანღა კნაი? რატომ ვერა გხედავ?

ია. ჰკნაი და არც არა იცი რა! მე გაკნაელებ, ვილაც ნიაგი ხარ, თუ ზევით ამოველ: ვერა ხედავ, რამოდენა მიწა მამეცს თავზე?

ნიაგი. ამობრძანდი და როცა თვალს მომკრავ, განა ვერ გაიგებ? (ნაავი რამდენჯერმე მიუტრიალ-მიუტრიალდება უღმარტებაშედილი ბუნქს და გაჭქრება).



ია. საძაგელი! თავი კი მოგიკვდეს, აჰა! (ია სუფიანს უღიანს სმენად გადაიქცევა).

კურდღელი. (მოცანცალებს). დიპლიპიტო! დიპლიპიტო! დიპლიპიტო!

ია. ეს ვილა ოხერია? არა, რა შედიპლიპიტოება, ზევით ვერ ამიხედნია, ცა ვერ დამინახავს, და ეს ვილაცა უტვინო კი ჩემს ქოჩორზე ასკიკუკუს მიმართავს. რომელი ხარ? გაჩუმდი, გაჩერდი მეთქი!

კურდღელი. გაჩერდი და ხმაც ჩაიწყვიტე! შენ ვილა ხარ, რომ ჩემთან არა კადრულობ ლაპარაკს და ჩემს ფეხებს კი ელაპარაკები? (უაღუე შეშდგარი კურდღელი წინა ფეხებს ათამაშებს და თან ეურებს აწყაუნებს).

ია. ვინა ვარ? როგორ თუ ვინა ვარ?! მთელი ქვეყნიერება მაძევს თავზე; მე მიჭირავს თავით დედამიწა და მე რომ გამოგეცალო, თვითონ შენც ყირამალა უფსკრულში ჩაინთქმები. მეკითხები ვინა ვარ? ია ვარ, ია, ია მეთქი!

კურდღელი. უჰ! გული არ გამისკდა! მე კი მეგონა, ან მეძება-რია, ან მწევარი მეთქი! ახლა შენც მოისმინე ჩემი ვაეკაცობა და! სოფლის თავიდან გამოვექეცი ერთ გოშიას და სოფლის ბოლომდე სულმოუთქმელად მოვრბივარ... და აი აქ შევედქე, რომ მტრის დამარცხება ვიდღესასწაულო... მააშ! (კურდღელი რამდენჯერმე მიხედა-მოიხედავს აქეთ-იქით, გოშია ხომ აღარ მომდევსო, და ტუისკენ მოუსვამს).

ნიავი. (შეშორბის ნიავი, მის დანახვასე ია თავს ჩაღუნავს, მიუბრუნდება ნიაგს და გაჯავრებული კილოთი ეტყვის).

ია. საძაგელი!.. შენ კიდევ მოხვედი?

ნიავი ყური მოვკარი შენსა და კურდღლის ბაასს. გულმა აღარ მომითმინა, შენსკენ გამოვეშურე. იავ, იავ, მითხარი, რათა ხარ ეგრე გულზეიანი? მეორეც ესა: რად აქარბებ შენს ძალ-ლონეს? ჯერ ხომ შენ ნამდვილი ია არც კი ხარ?! მზის სხივებს ჯერ არ დაუკოცნია შენი ლამაზი გულ-მეკრდი. რათა გგონია, რომ მთელი დედამიწა მოგქცევა თავზე? მთელი დედამიწა კი არა და შინდის კურკის ტოლა პაწია მიწა კი, მართალია, გადევს მაგ დახვეულ, მწვანე, ნაზ, ხუჭუჭა ქოჩორზე. შენ კი ამის მთელ დედამიწას ეძახი (ნიავი ჩაშრიალებს და გაჭქრება).

ია (ია ღრმად ამოისუნთქავს). უჰ! (ამ ღროს მას მოესმის წყაროს ჩეხჩეხი. ია სმენად გადაიქცევა). აი, ეს რომ მღერის, მართლაც მღერის! რა წმინდად რაკრაკებს ყელში! როგორ აწკრიბილებს ხმას! ნეტა კი დამანახვა ვინა მღერის და!



ია. (ქონორდასველებული ია ალტაცობით ამოიწვეს ზევით). მიყვარსო, მიყვარსო!

წყარო. ნეტა ერთი დამანახვა
ია მე...
ამო ზევით და შენც ჩემით
იამე.
მთიდან მოვალ,
მთიდან მომიზარია,
გიცნობ, გიცნობ,
გაზაფხულის ხარ ია!
შენთვის ვმღერო,
გაიგონე, დობილო,
თვალეუტუნა,
წარბებგადაწყობილო!

ია. (ტუბიდად იღიმება, ცდილობს ამოიწიოს). მოვდივარ, მოო!...
(ამ დროს ტუბიდან დაჭკურავს ციფა ხიავი, იას შეაჯრუფლებს და თავს ისევ
მიწას ამოაფარებს. მერე მუჟარით მიუბრუნდება ხიავს). საძაგელი! მე შენ გა-
ჩვენებ, როცა ზევით ამოვალ!

სინათლე. (შემოდის სინათლე, რაქრავდება, ისმის ფრინველთა ჭიკჭი-
კა, სინათლე მღერის).

Canto

Piano

გა-ზა-ფხუ-ლი მის-თვის მი-ყვარს, ი-ა-ბა-ა და შე-ნ-ც-ი-ა!
ყა-ვ-ცა-ხის ქა-ბე შე-ნთვის, ა-ბა-თ-ქა-ზე-სო

შე-ნი... გა-ზა-ფხუ-ლი მის-თვის მი-ყვარს, ი-ა-ბა-ა და შე-ნ-ც-ი-ა!
ყა-ბი!

ი-ა-ბა! მან-ცხა-სა-ყვ-ცა-ხის ბო-სე-რ-ა-ბა, ბო-ქა-ზე-სო, მე-ბი!

გაზაფხული მისთვის მიყვარს,
რომ იცინის ყველაფერი,
ყვავილების კონა შევკრათ,
აბა, ბიკო, ჰერი, ჰერი!
გაზაფხული მისთვის მიყვარს,
კობტაა და შშვენიერი,
მინდერისაკენ, კორდებისკენ,
აბა, ბიკო, ჰერი, ჰერი!

ია. (გახარებული ია სწრაფად ამოჭყობს თავს და სინათლეს მიუბრუნდება). ვინ მღეროდა ასე ტკბილად, პა?

დილა. (აღურსით). დილა გახლავარ, გაზაფხულის დილა, ჩემო პატარა ქილბატონო! (შემდეგ განაგრძობს).

სხივზე მიყვარს, სეირნობა,
ყვავილებზეს მიყვარს თრთოლა,
იქ იაა, აქ ბილილა
თაფნითელა, კრელოფოთოლა!
გაზაფხულის დილა მჭეია,
ყვავილების სანეტარო,
მღერის ბუჩქი, მღერის კორდი,
მღერის მთა და მღერის ბარი!

(ამ დროს სცენის გარეთ გუგუნით ისმას სიძღერა „გაზაფხულო, გაზაფხულო, რა კარგი ხარ, რა კარგი!“)

ია. (მთლად სმენად გადაქცეული და აღტაცებული). მართლაც და რა ლამაზად მღერიან! (ია ამოაწვეს და ღურჯ თვალებს გამოაჰყუეტს).

დილა. (მიუახლოვდება იას). კიტააა! მე დაგძლიე, მე დაგძლიე! (დილა გადაჭკობნის იას).

ნ. ბოცვაძე.

ფ ა რ დ ა .





პატარა გმირი

ბნა წლის გოგი მარტოა სახლში. დედა სადღაც წაუიდა, მამა კი ორი კვირისა ნათლისხას იმალება. გოგის სრულიადაც არ უკვირს ეს: მან იცის, რომ მამას დაეძებენ; რომ ნახონ, დაიჭერენ და ციხეში დაამწყვდევენ.

ისიც კარგად იცის გოგომ, თუ რატომ სდევნიან მამას: იმიტომ, რომ მამა კომუნისტია.

ძერე ვინ სდევნის? ბრიუფი ზოლიციულები!.. მათ არც კი იციან, რა უნდათ კომუნისტებს!..

გოგომ კი იცის, ძალიან კარგად იცის: მას მამა უამბობს ხოლმე კომუნისმზე საღამოობით. გოგი მოჯადოებულა ამ ამბებით.

— ო, ო, რა კარგად იცხოვრებს ვეჟლა კომუნისმის დროს! მდიდარი და ღარიბი აღარ იქნება. ვეჟლა იმუშავებს და ერთნაირად იცხოვრებს. ამსე უკეთესი განა შეიძლება რამე?..

გოგის სიამოვნების დიდილი მოსდის.

— არც სოფლის ამხანაგებმა იციან რამე კომუნისმზე. ჯერჯერობით მთელ სკოლაში მარტო ის არის კომუნისტი...

ამხანაგებმა გუმინ ცემაც მოუნდამეს. მაგრამ არც ისე ლახარია გოგი: ხელში ღვედი აიღო და ჰაერში დაატრიალა.

— ზა, ზა, ზა, — ეცინებოდა გოგის. — ბელურებივით დაფრთხენ სხუელები...

უეცრად კარი იღება და სახლში სამი ზოლიციელი შემოდის. ერთი მხალაღი და სქელაღი. უღვაძები უურაძღე სწვდეზა. ეტეობა, უფროსია.

— შენ მარტო ხარ სახლში, ზატარა? — უხეზად ეკითხება გოგის გრძელუღვაძა.

— დიაღ, მარტო ვარ.

— დედა სად არის?..

— ბახარში წაჰვიდა.

— მამა?

ე, ე, ამას კი აღარ იტყვის გოგი.

— მამა წაჰვიდა.

— სად?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი? სოქვი ჩქარა!.. — ღრიალებს ზოლიციელი.

— არ ვიცი! — მტკიცედ უზახუხებს გოგი.

— სოქვი, თორემ ცინეში წაგეუვანთ.

შეერთება გოგი. მაგრამ არა, რაც უნდა უყონ, მაინც არ იტყვის.

— არ ვიცი. — ისევ იმეორებს ის.

— მამ კარგი, დაიტოვეთ ეს ბავში!

ორი ზოლიციელი უხეზად აუღებს ხელს გოგის. იგი ძირს ჩაჭეკვთ და ავტომობილში სვამენ.

მიჭქრის ავტომობილი და გოგისაც მიახანებს ზოლიციელებთან ერთად. გოგიმ არ იცის სად მიდის. ცოტა კიდევ ეშინია. მაგრამ ავტომობილით გასეირნებაც კარგია.

ავტომობილი ერთ დიდ და უშნო სახლის წინ ჩერდება. გოგი ამ სახლში შეჭეკვთ.

ერთ დიდ ოთახში ვიღაც ზოლიციელი ზის. გოგიც მასთან მიჰუთ.

— რამდენი წლისა ხარ, ზატარავ? — ალერსიანად ეკითხება ზოლიციელი.

— ცხრა წლისა.

— რა გქვია?

— გოგი.

— სკოლაში დადიხარ?

— დიაღ, დაუდივარ.

— ჭამა არ კინდა?

— რატომაც არა: სადილს შემდეგ არაფერი მიჭამია.

ზოლიციელი ზარს აწკარუნებს. ვიღაც დიდცხვირა შემოდის და მის წინ იჭიმება.

— აბა, ჩქარა ჰური და ძეხვი მოიტანე. ზატარა სტუმარს მია.

დიდცხვირა სწრაფად გადის.

გოგი გაოცებულია. მას ცინეს დაემუქრენ და ამ კეთილ კაცთან კი მიიუფანეს. მერე ვინ უნდა იყოს? იქნებ მისი უცხოობი მია არის. რა კარგი იქნება თუ ეგონა!..

ჰური და ძეხვი მალე მოაქვთ. გოგი საფარბელოში ვაღება და მადიანად შეექცევა საჭმელს. თან კეთილ კაცს ათას რადაცვებს უამბობს. ხან ამხანაგებს იგონებს გოგი, ხან მასწავლებლებს და ხან კიდევ თავის უძეგროს მძას. კეთილი კაციც უურს უგდებს და სიამოვნებით უღიმის გოგის.

— დედა რომ კარგად არის? — ისეთივე ალერსიანი სმით ეკითხება ზოლიციელი.

— ძალიან კარგად.

— მამა სადღა არი? რას შერება?

გოგი შემდება.

— რად არ მეუბნები? სად არის მამა?



— არ ვიცი. სადღაც წავიდა.

იღრუბლება ზოლიციელი.

— სთქვი!—ბრძანებით ეუბნება ის გოგის.

— არ ვიცი.

— სთქვი მეთქი!..—ღრიალებს ზოლიციელი.

— არ ვიცი, —ისეუ იმეორებს გოგი.

— მაშ კარგი, ახლაჲ გათქმეუინებ.

ზოლიციელი სარს აწკარუნებს. ისეუ დიდცხვირზ შემოდის.

— წადი, წკეპლი და ჯინჯარი მოიტანე. ამ ემაწვილს გვერდები უნდა აუწვა.

დიდცხვირზ სწრაფად გადის. გოგი და ზოლიციელი ისეუ მარტო არიან.

ზოლიციელი მრისხანეა. უჯრებში რაღაც ქაღალდებს აწუობს, თან ბრაზობს და იგინება.. გოგი გაძეძებული სდგას. მალე ჯინჯარი და წკეპლა მოვა და გოგის დასჯიან. მერე აქ არც დედა და არც მამა, რომ მიეძეულონ. მაგრამ მტკიცედ დგას გოგი. რაც უნდა უეონ, ეველაფერს აიტანს და მამას კი არ გასცემს.

— მაშ არ იტყვი? —ისეუ კვითხება ზოლიციელი უეცრად.

გოგი სდუმს, მერე ერთობადად იმართება და წელში სწორდება.

— ზატარა კომუნისტი მამას არ გასცემს—მტკიცედ ამბობს ის და ზოლიციელს თვალს უსწორებს.

ზოლიციელი შეკრთება: ასეთ ზასუხს არ მოელოდა. ბრაზი ეელში აწეება, სახესე ცაფი ედება და გოგის გამხეცვებული უცქერის.

ამაჲად სდგას გოგიც, ზოლიციელს თვალს უსწორებს.

მძენიერი სურათია:

ახოვანი ტანის კაცი და ზაწია ბავში ზირისზირ დგანან,



ერთმანეთს მოსისხლე მტრებივით უცქერიან. დიდ დარბაზში დუმილია. მხოლოდ საათი წხაკუნობს კედელზე.

უცნაოდ კარი იღება და ზოლიციელს მეორე ოთახში ეძახიან. ისიც სასტიკად იკინება და მიდის.

მარტო რჩება გოგი. იგი მოწვევით ეშვება სავარძელში. სული ევლში ებჯინება. მთელი ტანით კანკალებს. თითქოს ტირილიც უნდა, მაგრამ არა, აბა ამას როგორ იკადრებს გოგი.

გადის რამდენიმე წამი. ოთახში არაფერს შემოდის. გოგის თითქო ეძინია ამ მარტოობის. ის კარებთან მიდის. ჰოი, საკვირველებზე! — კარები დიაა. გაბედულმა აწრმა გაურბინა გოგის. იგი სწრაფად აღებს კარებს და ქუჩაში გამორბის.

— დედა! დედა! დედა! — უფირის გოგი და თან სასლი-საკენ მირბის.

რამდენიმე წუთს შემდეგ ის უკვე შინ არის და დედას ალელვებით უუკება თავის თავკადანსვალს. დედაც უსმენს და ეალერსება.

— ხომ მართალია, დედა, რომ კომუნისტი არასოდეს არ იქნება მამის გამცემი?

— მართალია, შვილო, მართალი — უალერსებს დედა და ზაწაწინა კომუნისტს გულში მაგრად იკრავს.

სან — სანანოისძე



მეგობრები



ინდორში გამოვიდა დათუნა ჰატარა.

ტეუმი ბუნაგიდან ჩუმად გამოეპარა დედი-
ლოს ცელქი.

უსარია დათუნას: მოგოგავს, მობავბავებს,
ქოლოს მიირთმევს, იქით-აქით იუურება, ეველა-
ფერს სუნავს თავის ჰაწია დინკით—უნდა ეველაფერი დაინა-
სოს და გაივოს.

ჰეპელეები დაფარფატებენ ევაგილებს, ჭიანჭველებს ფუსფუ-
სი ვაბქვთ, დიდ სახლს იშენებენ.

უცებ გამოსტა ბაჭია ნაცარა, უკან მოსდევდა მელია ემა
მაკი.

სის ჯოსზე კადამჯადარმა ჰატარა სოლიკომ მოულოდ-
ნელად შემოაჭენა მინდორსე თავისი ცხენი: კამდელს გამო-
ექცა ცელქი, დასტოვა მოსუცი ტეის განაპირას.

დაინახა დათუნა, შეშინდა ბიჭიკო.

დათუნამ კი თათით მიართვა მას ქოლო და უთხრა:

— არ შეშინდე, ბიჭიკო, ჩვენ სომ ჰატარები ვართ.

სოლიკოს გაეცინა, გაუწოდა ხელი.

დამეგობრდენ. დაიწვეს ერთად თამაში.





დათვი და კურდღელი

დაბურულ ტყის ბუჩქნარში
სის ჰაწია კურდღელი,
აწკანუებს უღვაძებს
ტუნშოკლე და უურგრბელი.

ტანსე ქურქი ჩაუცვამს,
ფესე — თბილი ჩექმები...
ფიქრობს, თითქოს თავში აქვს
რბაღ დიდი გეგმები!

დათვი სცსოვრობს მახლობლად:
ბანჯგულიანი, უსეში;
კურდღელს წერილს უკზანის—
აღბად, აბამს მასეში:

„ჰაწია კურდღელო,
შე უღვაძებწკანუნა,

გაიგონე, რასაც გწერ
 შესობელი დათუნა!

ქორწილი მუჟს დღეს ტყეში,
 მინდა მეტად ვიღსინო;
 მოდი და შენც გვეწვიე,
 ვუიცავ, არ მოგაწეინო!

სტუმრები მუჟს რჩეული:
 დათვი, ტურა, მკელია,
 ფრინველთ მეფე არწივი,
 ჭორიკანა მელია.

ისეთ ქეიფს გავძარბავ,
 მტერს შემურდეს გულითა,
 კახურს ბლომად შეგანძვე
 ბარბქიან კულითა“...

აჯანჯანდა კურდღელი,
 ტუჩი აჯანჯურა,
 აიცქვითა უურები,
 თათი დააფანჯურა.

ტყეში ღსინი, ქეიფი,
 მართლაც მშვენიერია,
 მაგრამ დათვის სტუმრები
 ვკულა მისი მტერია.

რაც გინდ ღონე იღონოს,
 არაფერი გახდება!;
 თუ რომ სტუმრად წავიდა,
 სიკვდილი არ ასცდება.



არა! წასვლა არ ვარგა:
 ასლო სდგას ბედისწერა!
 და ნეკერხლის ფოთოლზე
 დათვის შემდეგი მისწერა:

„მესობელო! შენს ქორწილს
 მოგილოცავ კულითა,
 და კისურეებ, კეცხოვროს
 მუდამ სინარულითა.

სტუმრად კი ვერ გაწვევი,
 თუმც დიდი მაქვს წადილი,
 რადგანც არ მსურს ღვინის დროს
 გავხდე თქვენი სადილი“.

ს. ურუშაძე.





შოკოლადის კაცი

(როგორ კეთდება შოკოლადი).

მამამ ტკბილეულობის ქარსნიდან, სადაც ის მუშაობდა, სახუქრად შეიღეს შოკოლადის კაცი მოუტანა. თავი და წაღები კაცს გაოქრული ჰქონდა.

— უნდა შეეჭამო—სთქვა სანდრომ და გალოკა კაცი.

— ჭამე, იმიტომაც არის გაკეთებული.—უთხრა მამამ. სანდრომ ასევე დახედა კაცს...

— არა, ისევე ხედავ შეეჭამ, მანამდის განჯინაზე იღვას. მაგრამ ერთი ფეხი მაინც მოსტეხა, შეჭამა და წავიდა დასაძინებლად.

დაიძინა მან, დაიძინა ყველამ და სახლში სრული სიჩუმი ჩამოვარდა.

კაცის მახლობლად განჯინაზე თეფში იღვა ზურის და ძეხვის ნაჭრებით.

— უჰ, როგორ მოძწეინდა—სთქვა კაცმა.—ეს ჩემი უკანასკნელი დამეა. არაფერ არის, რომ ვესაუბრო.

ამ დროს რაღაც სასუნი და შრიბლი მოისმა, და განჯინაზე ზატარბ ნაცრისფერი თაგვი ამოძვრა. მან ჯერ მოციცქნა ზურის გული, ძეხვის გემოც განახა და მერე შოკოლადის კაცთან მიიბრინა და გალოკა.

— ტკბილია,—სთქვა მან,— მაგრამ მე არასოდეს არ მიჭამია ამხარი რამ!...

— ვინა ხარ შენ?

— მე შოკოლადის კაცი ვარ! გირჩევი, ხელი არ მახლო, თორემ მოკვდები.



— მე მამღარი ვარ.—სთქვა თავგმა და დაიწყო ბანა.

— ჰო, საიდან მოხმანდი შენ ჩვენთან? მე შენ წინეთ არასოდეს არ მინახავსარ აქ.

— მე ზირდაზირ ტპბილეულობის ქარსნიდან მოვედი— სთქვა შოკოლადის კაცმა — ჩემი სამშობლო კი ამერიკაა, ცხელი და აქიდან შორს მდებარე ქვეყანა... თქვენ მიგდებთ უურს?

— რასაკვირველია; განაგრძე. როდესაც მე მამღარი ვარ, მიუვარს კარგი ამბების მოსმენა.

— სვალ მე შემჭამენ, — სთქვა კაცმა — და ამიტომ მინდა უამბო ვისმე ჩემი თავგადანსავალი:

არის ისეთი ქვეყანა, სადაც სიცვივე არხსდროს არ არის, და ადამიანებმა არ იციან, რა არის თოვლი. მთელი წლის განმავლობაში ცხელა. მცხუნვარე საფსული და გრილი გასაფსული, — აი იმ ქვეყნის თვისება. იქ იხრდება ზაღმის უმყელბელი ტუეები და მათ ჩრდილში თავს იფარავენ ზატარბეები, სახელად კაკაო, აქაურ აღუბლის მავკარნი. წელიწადში ორჯერ კაკაოს ხეების ქერქსე ჯგუფ-ჯგუფად იძლებ ზატარბ წითელი ვვავილები. მერე ვვავილებისაგან მწიფდება დიდი, მოწითალო აკურის ფერი; ხორციანი ნაუოფი.... ეს არის კაკაოს ნაუოფი.

— განაგრძე, — სთქვა თავგმა, — თუძცა მე არაფერი არ მესმის.

— ეს ნაუოფი ძალიან უუვართ მაიმუნებს. ხარბად წუეეცენ მათ და ჭამენ. ჭრელი თუთიუეები, — ამისთანა ფრინველები არიან იქ, — სიამოვნებით შეეცევიან ამ ნაუოფს.

როდესაც ნაუოფი დამწიფდება, მოდინ კაკაოს მკრეფა-



ვები—ხანგი მუშები. ისინი შავები არიან ზემსავით; ჯერად
 ჭრელი წინსაფრისა, ტანსე არაფერი არ აცვიათ, იმიტომ
 რომ იქ ძალიან ცხელა.



მოაკორეებენ ხანგები ნაყოფს, შემოაცლიან რბილ ნა-
 წილს—ზარს. შიგნით ცერცვის მაკვარი მარცვლებია. ისინი
 მათ ვაბწეობენ მზეზე და ახმობენ.

— დიად, დიად. შემდეგ? — ჰკითხა თავგმა.

— მერე მოაკორეებენ კასრებს, ჩაჭურბან შიკ ცერცვა-
 მარცვლებს, გადააქეთ ზღვის ნაზირს და ტვირთავენ გემზე.
 მოცურავენ და მოცურავენ კასრები და მოაღწევენ ნაუნად-
 გურს. აქ მათ გადმოტვირთავენ მატარებლის ვაგონებში.
 დაუსტვენს ორთქლმავალი და კაკაოს მარცვლებიანი კასრები
 წავლენ თავის სამშობლოდან შორს, შორს, სრდილოეთში, სა-
 დაც ცივა და თოვლი მოდის. იქ გადმოტვირთეს კას-
 რები ვაგონიდან, დასდეს ურმებზე და მიიტანეს უზარმაზარ
 შენობასთან. შენობის ფანჯრები ზღაპრულ ცნოველის თვალე-
 ბივით ანათებენ. ისმის მანქანების ღრიალი და სტვენა. ეს
 სწორედ ის ტკბილეულობის ქარხანა იყო, საიდანაც დღეს
 მე თქვენთან ვიასვლით.



— ოჲ, მე იქ ვიყავი, — გაეხარდა თაგუს, — იქ გემრიელი სუნი სდგას, მაგრამ ბევრი ხალხია და დიდხანს არ შეიძლება გაძლება. განავრძე, გენაცვა.

— კაკაოს მარცვლებით სავსე კასრები უშველებელ ოთახში შეაგორეს. მანქანები ამომრავებდნენ თვლებს; ღვედები მხუილით დასრიალებდნენ ქნეპარსე.

სრიალი და სმბურობა გამაურეებელი იყო. კასრები გასსნეს და მარცვლები გამოჰქარეს. ყოველ მარცვალს მაგარი ნაჭურჭი აქვს, და თვითიველი მათგანი იყოფა ორ ნახევრად, როგორც ნუძის გული. მოკოლადინთუის გამოხადეცა მხოლოდ ეს ნახევრები. მარცვლები ჩაჰქარეს ფოლადის ჭურჭელში, რომელიც ცეცხლსე იყო გამართული და დაუწვეს ეავასავით მოხალვა. მერე მარცვლები ჩაჰქარეს ორთქლის წისქვილში.

რბ არ კაკაოს განიცადეს მარცვლებმა წისქვილის ქვების შუა! მარცვლები ტკაცანით იფხვნებოდა.

მერე დაფხვნილ მარცვლებს ატარებენ სანიაფებელში და კანს ამორებენ.

შემდეგ მარცვლებს ჰურიან წისქვილში და წმინდად ფქვავენ ვახურებული ქვებით. დაფხვნილ მარცვლებს სიცხისგან სეოთი გასდის. კაკაოს მარცვლები თხელ ფაფასავით გადიქვევა და ქვის უარცლში ჩადის.

— თქვენ ჩქარა გაათავებთ? — გააწვევია თაგუმ კაცუნას. — მე არ მცაღია და ძალიან შეძინება.

— ამ წამსვე. თხელ ფაფას ისევ ატარებენ რამოდენიმე ღერძში და შემდეგ წმინდად დასეულილი ცომი ისხმება სავანკებო ჩანახში. ჩანახში ჰურიან თეთრ შაქრის ფხვნილს და სხვადასხვა სურნელოვან ნივთიერებას. მერე მანქანა ღერძებით წილავს ყოველივე ამას თხელ და ტკბილ ფაფად.



მერე ფაფა გადახსნეს საგანგებო ეუთში და სასურბავით დაიწვეს დაწოლა. წვენი ჩამოდინდა, ფაფა თანდათან მაგრდებოდა. ეს ცომი ჩააწვეეს სსუადსსუა ფორმებში. ფორმები ბეწრნაირია: ჟოსი, ფირფიტა, კაცუნები, ცხენები, ძაღლები და კატის თავები. ფორმებს უსვამენ ზეთს და შიგ ასსამენ კაკაოს თხელ ცომს. ამის გამო ჩვენ, ფიგურები, გამოფიგურთ ფორმიდან ბრჭყუივალა, — აი, როგორც მე; სიცივეში ჩვენ გავუმგრდით. თავი და ჩექმები მხოლოდ მერმე გამოიქროვენ.

— სულ ეგ არის? — იკითხა თავგმა.

— სულ.

— მაშ, მშვიდობით. თუ თქვენ სვალ არ შეგჭამენ, მაშინ მე კიდევ ვესტუმრებით.

თავი წაზიდა, შოკოლადის კაცი კი დარჩა თავის ბედის მოლოდინში.

ძალიან საწუენია, რომ სანდროს ამ დროს უძინა და არ გაუგონია შოკოლადის კაცის თავგადსავალი. ამიტომაც მე იძულებული ვიყავი ეველაფერი ამეწერა, რომ წაეკითხა შოკოლადის კაცუნასე მას და მსწვებსაც.

ლეო





მერცხალი

ვუძღვნი ჩემ პატარა მეგობარს—ეთიკო წერეთელს.

სიტყვ. მ. დიმიტოვისა *Moderato.*

მუს. თ. შავეჩაშვილისა.

Piano

mf

grazioso.

მე პა წია მუხტალოვარძოჭოჭი ყე მოალორსუ. ხე ზა ვი რაღა ვი შა ვე

ჭებსაოიბეხვარიბი ჭო სე-სე? სი ყვა რაულოისი ხა რაულოიბთებზღუები გადო ვოუსე

მა ნამ შენ თან მო ვი დო დი, ერთ ხე რაყ არ და ვი ვხე - სე.

dim.

p

- | | |
|--|---|
| <p>2. შორით თვალებს გიკოცნიდი,
 ცის ლაქვარდში ცსრიალებდი,
 ვჭიკჭიკობდი, შევაშკობდი,
 სულ შენ შემოგატრფიალებდი!
 ცხრა-შთა გზიდან მომავალი,
 მიქანცული, მოღალეული,
 დაბლა დაბლა ვეშვებოდი:
 შენ გეტებდა ჩემი გული.</p> | <p>3. აი, მოველ, დაგინახე, გულში
 ია-ვარდი ვთესე,
 ავჭიკჭიკიდი უფრო ტკბილად,
 ხმები გავიუკეთესე,
 გეფიცები და ძმობასა, მხოლოდ
 ეხლა დავიკენესე:
 არ გრცხვენია, უმიზეზოდ ქვებს
 რომ მესვრი, ბიკო სესე?</p> |
|--|---|

1925 წ.

მიიღება ხელის მოწერა სავსაწვდილო დასურათებულ უოკელ-
თვიურ ქურნალებზე:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XXI წ.

მოზრდილ. „წითელი სხივი“

ხელის მოწერა მიიღება ფლიურად.

„ნაკადული“	გადაგზავნით		3 მ. 50 კ.
„წითელი სხივი“			5 მან.

ცალკე ნომერი	}	„ნაკადული“	30 კაპ.
		„წითელი სხივი“	45 კაპ.

მისამართი: ტფილისა, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კო-
მისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

